



სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

საქართველოს საგარეო საქმეთა
სამინისტროს 2018 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული საანგარიშგებო
პერიოდისათვის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების აუდიტი

02 აგვისტო, 2019 წელი

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს

ბატონ დავით ზალკალიანს

ბატონო დავით,

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. აუდიტს წარვმართავდით უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) მიხედვით.

აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, შევისწავლეთ შესაფერისი შიდა კონტროლის მექანიზმები, ასევე შევაფასეთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობა, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გასცა უარყოფითი მოსაზრება ქვემოთ აღწერილ გარემოებათა გამო.

წარმოგიდგენთ სარეკომენდაციო წერილს, რომელიც ასახავს აუდიტის პროცესში აღმოჩენილ უზუსტობებს, ნაკლოვანებებსა და მათ აღმოსაფხვრელად სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს.

პატივისცემით,

გენერალური აუდიტორი

ერეკლე მექვაბიშვილი

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	2
	1. უარყოფითი მოსაზრების საფუძველი	3
	2. სხვა გარემოებები	6
	3. წინა პერიოდის აუდიტის შედეგად გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების საკითხი	7
	4. საკონტაქტო ინფორმაცია	9

დანართები

ტერმინები და შემოკლებები

სამინისტრო – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

აღრიცხვის ინსტრუქცია – „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია

დიპდაწესებულება – საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები და საკონსულო დაწესებულებები

1. უარყოფითი მოსაზრების საფუძველი

1.1 დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები

გამოვლენილი გარემოება:

- 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დიპდაწესებულებების ბალანსზე ირიცხება 6,510,343 ლარის დებიტორული დავალიანებები, საიდანაც 1994-2013 წლებში წარმოქმნილი 614,570 ლარის მოთხოვნების რეალობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია სამინისტროში არ მოიპოვება.
- 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დიპდაწესებულებების ბალანსზე ირიცხება 922,623 ლარის კრედიტორული დავალიანებები, საიდანაც 2000-2006 წლებში წარმოქმნილი 72,016 ლარის ვალდებულებების რეალობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია სამინისტროში არ მოიპოვება.

შედეგად, სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორი თანხებითაა წარმოდგენილი დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების ნაშთები, რის გამოც, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში როგორც „აქტივების“, ისე „ვალდებულებების“ საბალანსო ნაშთები შესაძლოა გაზრდილად იყოს წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ სამინისტროს დაწყებული აქვს ღონისძიებები დავალიანებების ჩამოწერის მიზნით.

რეკომენდაცია N1.

სამინისტროს აპარატს; დიპ-დაწესებულებებს

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი და უტყუარი წარდგენის მიზნით, სამინისტროს აპარატსა და დიპდაწესებულებებში შექმნილმა შესაბამისმა საინვესტიციო კომისიებმა შეისწავლონ ბალანსზე რიცხული მოთხოვნა-ვალდებულებების რეალობა, დაადგინონ ანგარიშვალდებული პირები და გამოვლენილი შედეგების საფუძველზე იმოქმედონ კანონმდებლობის შესაბამისად.

1.2 უკან დაბრუნებადი გადასახადების აღრიცხვა

გამოვლენილი გარემოება: „დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ“ ვენის კონვენციით,¹ დიპდაწესებულებები გათავისუფლებული არიან ყოველგვარი გადასახადისაგან. კონკრეტული ქვეყნის საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, დიპდაწესებულებების მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვა იბეგრება გადასახადებით, რომელთა დაბრუნება შემდგომ პერიოდში ხორციელდება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ, სამინისტროს 2017 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგებზე დაყრდნობით, დიპდაწესებულებებს მიეცათ რეკომენდაცია ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, დაბრუნებადი გადასახადები ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივად ელიარებიანათ მათზე მოთხოვნის უფლების წარმოქმნისთანავე. რეკომენდაცია გათვალისწინებულია მხოლოდ 10 დიპდაწესებულების მიერ, მაშინ როდესაც წარმოდგენილი ინფორმაციით უკან დაბრუნებადი გადასახადები აქტივად აღრიცხული უნდა ჰქონოდა 44 დიპდაწესებულებას.

დაბრუნებადი გადასახადების თანხებით უნდა შემცირებულიყო როგორც დარიცხული ხარჯების, ასევე აქტივების თვითღირებულება. აღნიშნული

¹ მუხლი 23.

შეუსაბამობების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის დადგენის შეუძლებლობის გამო, ვერ მივიღეთ რწმუნება კონსოლიდირებულ ფორმა N1-ში „სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივების“ ნაშთის სისრულესა და სისწორეზე, ასევე „ძირითადი აქტივების“ და „მატერიალური მარაგების“ ნაშთების სისწორეზე და კონსოლიდირებულ ფორმა N2-ში „ხარჯების“ მუხლის სისწორეზე.

რეკომენდაცია N2.
დიპდაწესებულებებს

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი და უტყუარი წარდგენის მიზნით, დიპდაწესებულებებმა დაბრუნებადი გადასახადები ბუღალტრულად აქტივად აღიარონ მათზე მოთხოვნის უფლების წარმოქმნისთანავე.

1.3 შემოსავლები

გამოვლენილი გარემოება: 2018 წელს საკონსულო მომსახურებიდან მიღებულ შემოსავლად დიპდაწესებულებებს აღრიცხული აქვთ 1,638,648 ლარი, ხოლო იუსტიციის სამინისტროსგან დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში გაწეული მომსახურებებიდან – 4,620,525 ლარი. აღნიშნული მომსახურებების მისაღებად, მოქალაქეების მიერ წინასწარ გადახდილი თანხები, დიპდაწესებულებების მიერ შემოსავლად აღირიცხება საკასო მეთოდით,² მაშინ როდესაც აღრიცხვის ინსტრუქციით,³ საოპერაციო შემოსავლების აღრიცხვა უნდა განხორციელდეს დარიცხვის მეთოდით.

ვინაიდან ვერ იმიჯნება, მიღებული თანხიდან რამდენია ფაქტობრივად გაწეული მომსახურება და რამდენია მიღებული ავანსი, ვერ შევძელით საკასო მეთოდით შემოსავლების აღრიცხვით გამოწვეული შეუსაბამობების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო ეფექტის განსაზღვრა.

შედეგად, ვერ მივიღეთ რწმუნება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში „კრედიტორული დავალიანების“ ნაშთის სისრულესა და სისწორეზე, ასევე კონსოლიდირებულ ფორმა N2-ში 2018 წელს მიღებული „შემოსავლების“ სისწორეზე.

რეკომენდაცია N3.
დიპდაწესებულებებს

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი და უტყუარი წარდგენის მიზნით, დიპდაწესებულებებმა შემოსავლები აღრიცხონ დარიცხვის მეთოდით.

**1.4 ბუღალტრული
აღრიცხვის წარმოება**

გამოვლენილი გარემოება: წმინდა საყდართან (ვატიკანში) და უნგრეთში საქართველოს საელჩოების მიერ 2018 წელს ბუღალტრული აღრიცხვა არ მიმდინარეობდა სპეციალიზებული საბუღალტრო აღრიცხვის სისტემის საშუალებით, რაც ზრდის ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული შეცდომების რისკს. შედეგად, ვერ მივიღეთ რწმუნება კონსოლიდირებულ ფორმა N2-ში „საქონელი და მომსახურების“ მუხლზე ასახული 1,926,230 ლარის ხარჯების წარმოშობაზე, სისრულეზე, სისწორეზე, დროში გამიჯვნაზე, კლასიფიკაციასა და წარდგენაზე.

პორტუგალიაში საქართველოს საელჩოს მიერ ბუღალტრული აღრიცხვა მიმდინარეობდა N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შეუსაბამოდ, არასწორი და

² დიპდაწესებულება ვალდებულია, მოთხოვნის შემთხვევაში, მოქალაქეს უკან დაუბრუნოს გადახდილი თანხა.

³ 154-ე მუხლი.

არათანმიმდევრული აღრიცხვის გამო, ბუღალტრული ინფორმაცია წარმოდგენილია მნიშვნელოვანი უზუსტობებით და არსებითი თანხებით არ ედრება საელჩოს 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ შესაბამის მონაცემებს.

რეკომენდაცია N4.
დიპდაწესებულებებს

სრული და უტყუარი ფინანსური ინფორმაციის მომზადების მიზნით, დიპდაწესებულებებმა ბუღალტრული აღრიცხვა აწარმოონ სპეციალიზებული საბუღალტრო აღრიცხვის სისტემის საშუალებით, ბუღალტრული ანგარიშთა გეგმა და აღრიცხვის მეთოდოლოგია შესაბამისობაში მოიყვანონ N429 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციასთან.

**1.5 ძირითადი კაპიტალის
მოხმარება**

გამოვლენილი გარემოება: აპარატის ბალანსზე რიცხულ ძირითად აქტივებზე არასწორად დარიცხული ცვეთის შედეგად, ნაერთი ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში (ფორმა N2) „ძირითადი კაპიტალის მოხმარება“ 311,863 ლარით გაზრდილად არის ნაჩვენები, ხოლო კონსოლიდირებულ ფორმა N1-ში „ძირითადი აქტივების“ საბოლოო ნაშთი გაზრდილია – 80,005 ლარით.

პორტუგალიასა და უკრაინაში საქართველოს საელჩოს მიერ წარმოდგენილი ცვეთის დარიცხვის უწყისი არ შეიცავს ინფორმაციას აქტივების ისტორიულ ღირებულებაზე. შედეგად, ვერ მივიღეთ რწმუნება ნაერთი ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში (ფორმა N2) 405,255 ლარის „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ სისწორეზე.

რეკომენდაცია N5.
დიპდაწესებულებებს

სრული და უტყუარი ფინანსური ინფორმაციის მომზადების მიზნით, დიპდაწესებულებებმა ბუღალტრული აღრიცხვა აწარმოონ სპეციალიზებული საბუღალტრო აღრიცხვის სისტემის საშუალებით, ბუღალტრული ანგარიშთა გეგმა და აღრიცხვის მეთოდოლოგია შესაბამისობაში მოიყვანონ N429 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციასთან.

2. სხვა გარემოებები

2.1 ნაშთებს შორის სხვაობა

გამოვლენილი გარემოება: სამინისტროს 2018 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ნაშთები და ოპერაციები არ ედრება სამინისტროს სტრუქტურაში შემავალი ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მონაცემებს. აღნიშნული გამოწვეულია ზოგიერთი ნაშთის მხოლოდ ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებებში ასახვით, კონსოლიდაციისას მათი რეკლასიფიცირებით და კორექტირებით. შედეგად, იზრდება ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, აღსარიცხავი ინფორმაციის სისრულესა და სისწორესთან დაკავშირებული რისკები.

რეკომენდაცია N6.

სამინისტროს აპარატს;
დიპდაწესებულებებს

სრული და უტყუარი ფინანსური ინფორმაციის მომზადების მიზნით, სამინისტრომ ყველა ნაშთი და განხორციელებული ოპერაცია ასახოს შესაბამის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში.

2.2 მატერიალური მარაგების ხარჯვის კონტროლის სისუსტეები

გამოვლენილი გარემოება: აღრიცხვის ინსტრუქციის მიხედვით,⁴ საბიუჯეტო ორგანიზაციამ უნდა შეიმუშაოს ეკონომიკური მოვლენების ამსახველი დოკუმენტების წარმოების მექანიზმები და პროცედურები იმდაგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს ფინანსური რესურსების მართვის და კონტროლის სისტემის გამართული ფუნქციონირება.

სამინისტროს აპარატის მიერ წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებით წარმოდგენილ იქნა პასუხისმგებელ პირებზე მატერიალური მარაგების გაცემის დოკუმენტაცია⁵ და მოხსენებითი ბარათები, რომლებიც ზოგადი ხასიათისაა⁶ და არ იკვეთება კონკრეტული ღონისძიების ფარგლებში გახარჯული მარაგების სახეობა და რაოდენობა. აპარატში არ იყო შემუშავებული მატერიალური მარაგების ხარჯვის ამსახველი შესაბამისი დოკუმენტაცია (ჩამოწერის აქტი), რაც კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებულ ნაკლოვანებებზე მიუთითებს.

რეკომენდაცია N7.

სამინისტროს აპარატს

საბიუჯეტო სახსრების გამჭვირვალედ ხარჯვის და წარმომადგენლობითი ღონისძიებების სათანადო კონტროლის მიზნით, აპარატმა შეიმუშაოს მატერიალური მარაგების ხარჯვის ამსახველი შესაბამისი დოკუმენტაცია და მათი ბუღალტრული ჩამოწერა განხორციელოს ფაქტობრივი ხარჯვისას, შესაბამისი დოკუმენტური დადასტურების საფუძველზე.

⁴ მუხლი 4.

⁵ მოთხოვნა-გასავლის ფაქტურა.

⁶ სტუმრებს გადაეცათ საჩუქრები.

3. წინა პერიოდის აუდიტის შედეგად გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების საკითხი

რეკომენდაცია N1. სამინისტროს	სამინისტრომ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, უზრუნველყოს სამინისტროს ნაერთი ანგარიშგების და კონტროლირებული ერთეულების ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებში (ფორმა N1 და დანართი N1) ასახული მონაცემების ურთიერთშედარება და ნაშთების კლასიფიკაციის სისწორის დადგენა.
შესრულების მდგომარეობა: შესრულებული	სამინისტროს კონსოლიდირებული ანგარიშგების და კონტროლირებული ერთეულების ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებში ასახული ნაშთები არ ედრება ერთმანეთს.
რეკომენდაცია N2. სამინისტროს აპარატს	სამინისტრომ, სახელმწიფო ფინანსების ეფექტურად განკარგვის მიზნით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოახდინოს ფულადი სახსრების მოძიების და დაბრუნების მიზნით რეაგირება, ხოლო გამოვლენილი გარემოებებიდან გამომდინარე, იმოქმედოს კანონმდებლობის შესაბამისად.
შესრულების მდგომარეობა: შესრულებული	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის გაგზავნილი შეტყობინების მიხედვით, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 15 ნოემბრის N108 დადგენილებით შექმნილი საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის მიერ სათანადო გადაწყვეტილების მიღებამდე, ვერ განხორციელდება „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად (ყოფილი სსრ კავშირის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ბანკის მიერ ბლოკირებული, ამავე ბანკის თბილისის განყოფილების ანგარიშზე რიცხული, საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირების კუთვნილი სახსრების აუნაზღაურებლობით წარმოქმნილი დავალიანება) აღიარებული სავალო ვალდებულებების შესრულება.
რეკომენდაცია N3. სამინისტროს	სამინისტრომ, სახელმწიფო ფინანსების ეფექტურად განკარგვის მიზნით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დეტალურად შეისწავლოს ბალანსზე აღრიცხული მოთხოვნა-ვალდებულებების რეალობასთან, ამოღებასთან და დაფარვასთან დაკავშირებული საკითხები და ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში, იმოქმედოს კანონმდებლობის შესაბამისად.
შესრულების მდგომარეობა: ნაწილობრივ შესრულებული	2018 წელს სამინისტროში შეიქმნა კომისია მოთხოვნა-ვალდებულებების რეალობასთან, ამოღებასთან და დაფარვასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად. დიპდაწესებულებებს დაევალოთ დებიტორ ორგანიზაციებთან/ფიზიკურ პირებთან დავალიანების შესახებ ურთიერთშედარების აქტის და მასთან დაკავშირებული საჭირო მასალების წარმოდგენა. დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების ჩამოწერასთან დაკავშირებული ღონისძიებები ამჟამად მიმდინარეობს.

რეკომენდაცია N4. დიპდაწესებულებებს	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, დიპლომატიურმა დაწესებულებებმა ეკონომიკური მოვლენის მოხდენისას, დაბრუნებადი გადასახადები ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივად აღიარონ მათზე მოთხოვნის უფლების წარმოქმნისთანავე.
შესრულების მდგომარეობა: ნაწილობრივ შესრულებული	რეკომენდაცია გათვალისწინებულია 10 დიპდაწესებულების მიერ, მაშინ როდესაც წარმოდგენილი ინფორმაციით დაბრუნებადი გადასახადები აქტივად აღრიცხული უნდა ჰქონოდა 44 დიპდაწესებულებას.
რეკომენდაცია N5. სამინისტროს	სამინისტრომ, საბიუჯეტო სახსრების ეფექტური და მიზნობრივი ხარჯვის უზრუნველყოფის მიზნით, წინასწარი ანგარიშსწორებები განახორციელოს მხოლოდ ობიექტური აუცილებლობიდან გამომდინარე, სადაც დაცული იქნება „ფულის ღირებულება დროში“ (Future Value) პრინციპი.
შესრულების მდგომარეობა: შესრულებული	
რეკომენდაცია N6. დიპდაწესებულებებს	დიპლომატიურმა დაწესებულებებმა, ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, შესყიდული საქონელი ასახონ მატერიალური მარაგების შესაბამის ანგარიშზე და მათი ბუღალტრული ჩამოწერა განახორციელონ ფაქტობრივი ხარჯვისას, შესაბამისი დოკუმენტური დადასტურების საფუძველზე.
შესრულების მდგომარეობა: შესრულებული	
რეკომენდაცია N7. სამინისტროს	სამინისტრომ, საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად და გამჭვირვალედ ხარჯვის მიზნით, შეიმუშაოს მოკლევადიანი მივლინების ორგანიზების წესი, განსაზღვროს მივლინების ანგარიშის ფორმა და მისი შევსების ინსტრუქცია, გაამკაცროს კონტროლი სამივლინებო ხარჯების ანაზღაურების სისწორეზე, ზედმეტად გაცემულ თანხებზე უზრუნველყოს მიმღები პირების იდენტიფიცირება, ანგარიშვალდებული პირების ბუღალტრულად აღრიცხვა, ზედმეტად გაცემული თანხების ამოღება და სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართვა.
შესრულების მდგომარეობა: ნაწილობრივ შესრულებული	სამივლინებო ხარჯები ანაზღაურებული იყო სწორად. დიპდაწესებულებებში არ იყო განსაზღვრული მივლინების ორგანიზების წესი და მივლინების ანგარიშის ერთიანი ფორმა.
რეკომენდაცია N8. სამინისტროს	სამინისტრომ, საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად და გამჭვირვალედ ხარჯვის მიზნით, წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებით შეიმუშაოს პირველადი დოკუმენტაციის შედგენის და შემოწმების წესები, სადაც მოცემული იქნება ღონისძიებების შინაარსი და ინფორმაცია დამსწრე პირთა შესახებ (რაოდენობა, ვინაობა, სტატუსი და ა.შ.).
შესრულების მდგომარეობა: ნაწილობრივ შესრულებული	დიპდაწესებულებების მიერ წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებით შედგენილ პირველად დოკუმენტაციაში წარმოდგენილი იყო ღონისძიების შინაარსი და ინფორმაცია დამსწრე პირთა შესახებ (რაოდენობა, ვინაობა, სტატუსი და ა.შ.). აპარატში არ იყო შემუშავებული მატერიალური მარაგების ხარჯვის ამსახველი შესაბამისი დოკუმენტაცია (ჩამოწერის აქტი).

4. საკონტაქტო ინფორმაცია

ანგარიშის ავტორები	ვახტანგ პერტაია - vpertaia@sao.ge რუსუდან აბულაშვილი - rabulashvili@sao.ge ირაკლი ქანთარია - ikantaria@sao.ge
ვებგვერდი და სოციალური მედია	https://www.sao.ge/ https://www.budgetmonitor.ge/ka http://www.blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge
ცხელი ხაზი	(+995 32) 243 81 81
ელექტრონული ფოსტა	sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE